ეს წერილი (რომელსაც თან ახლდა ჟურნალ ააფ-ში გამოქვეყნებული წერილი, რომელიც **15 ნოემბერს** დასაბეჭდად ხელმოწერილი იყო) ბაფის ადმინისტრაციასა და გამგეობაში შემოვიდა **16 ნოემბერს**

ქალბატონო რუსუდან, კოლეგებო, მოგესალმებით

გავეცანი რა ბაფის ვეფ.გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას წევრებისათვის წესდებაში ცვლილებების (პროექტი) შესახებ (იხ. https://www.gfpaa.ge/site/files/news/WORD%2C%20PDF%20failebi/2022/%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf), ამ ინფორმაციაში განივთებულ განზრახვას მოეწყოს განხილვა ბაფის წევრების ჩართულობით, აგრეთვე ამ ცვლილებების საფუძველსა და მიზანშეწონილობაზე ინფორმაციას(იხ.https://www.gfpaa.ge/site/index.php?tid=1&color=blue&lid=1&sid=1&artid=397), აქამდე ვიცნობდი და კიდევ ერთხელ, გაცილებით ფართო ფორმატით, სისტემურად შევისწავლე რა პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის ეფექტური მართვის პრინციპები და მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ავტორიტეტული რეკომენდაციები, დეტალურად გავაანალიზე და შევაფასე რა ბაფის წესდებაში შეთავაზებული ცვლილებების ფუნდამენტალურ პრინციპებთან შეუთავსებლობის მაღალი ხარისხი, გადავწყვიტე არსებითად განხილვისა და შესაბამისი რეაგირების, ბაფის წევრთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მომემზადებინა და თქვენთვის წარმომედგინა თანდართული(ამ წერილს ერთვის დამოუკიდებელი ფაილის სახით, პდფ ფორმატში) მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობას თქვენ და ჩემი კოლეგები უკვე იცნობენ/იცნობთ, მაგრამ არ იცნობენ წევრები.

მაქვს თხოვნა, რომ მ.ნარსიას ამ წერილზე თანდართული რეკომენდაციები, აგრეთვე ამ საკითხზე ჩვენი კოლეგების-ბაფის სხვა წევრების რეკომენდაციები და მოსაზრებები, შესაძლო მოკლე დროში, აცნობოთ ბაფის თითოეულ წევრს (უკუკავშირით დადასტურების ფორმატში. გზავნილისას, მადლობელი ვიქნები თუ ჩამსვამთ სისიში იმ მიზნით, რომ მქონდეს ინფორმაცია პროცესზე) და ბაფის მენეჯმენტმა, სხვადასხვა ფორმატში, შესაძლო მოკლე დროში დააორგანიზოს შესაბამისი შეხვედრები ბაფის წევრ სხვადასხვა ჯგუფებთან და უზრუნველყოს ამ პროცესში წევრების მაქსიმალური ჩართულობა. ასევე არ იქნება ურიგო ჩემი და სხვა დაინტერესებულ წევრთა პოზიციები გამოქვეყნდეს **ბაფის უავტოროდ დარჩენილ ჟურნალში,** ვეფ გვერდზე და სხვაგან **ისე, რომ არ შეილახოს ბაფის რეპუტაცია.** მე მზად ვიქნები მონაწილეობა მივიღო ამ საკითხის განხილვის ნებისმიერ ჯგუფთან და ფორმატში (როგორც ოფლაინ, ისე ონლაინ ფორმატში) ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. მე პირადად მაქვს მზადყოფნა შევხვდე ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა ორკაციან ჯგუფსაც კი..ცხადია, შესაბამისი აქტიურობის განზრახვა აქვს ფბ ჯგუფ „დამოუკიდებელ აუდიტორთა პლატფორმა-2022“-ის ადმინისტრაციასაც.

ქ-ნო რუსუდან,
მაქვს იმედი, რომ ამ შეხვედრებზე იქნება უზრუნველყოფილი საკითხის არსებითად, კონსტრუქციულ და აკადემიური სტილში განხილვის ატმოსფერო. იმედია ეს შეხვედრები არ იქცევა ემოციების, მტკიცებულებებისა და არგუმენტების გარეშე, **საუკეთესო პრაქტიკის არცოდნის** (ან ამ პრაქტიკის არასწორი ინტერპრეტირების), **განჭვრეტის უნარისაგან დაცლილი, სისტემურად გაუაზრებელი მოსაზრებების, პიროვნული, მიკერძოებული, ცალკეული ინტერესჯგუფების სურვილების, ფარული ზრახვების დემონტრირების არენად.**
დიახ, შექმნილი სიტუაცია არის სერიოზული გამოწვევა, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდხანს ყალიბდებოდა.ზემოაღნიშნული გარემოებები, აგრეთვე ეფექტურად ორგანიზებული პროფესიული, მართალი, ობიექტური, ზოგისთვის არც თუ ისე სასიამოვნო საუბრების, მსჯელობის, ბაფის, მისი მენეჯმენტის, საერთოდ ამ უნიკალური პროფესიული

ორგანიზაციის საქმიანობის ძირეულად შეცვლის, „უძრაობის ხანიდან მისი გამოხსნის“ , „არაფრის კეთების“ დროის ლიმიტი, ვფიქრობ , რომ ამოწურულია, ასეთი განხილვების პრაქტიკა ქმნის ნიადაგს პროფესიის განვითარებისათვის . კარგია, რომ ჩვენ ამ პროცესში ვმონაწილეობთ და ერთად ვართ, მათ შორის ბაფის დამფუძნებლებიც .
ამასთან, ვფიქრობ გაითვალისწინებთ, რომ **ეს პროცესი არ უნდა იქცეს მ.ნარსიასთან პირადი დაპირისპირებისა და ბრძოლის არენად**(ზოგიერთს, როგორც ვხედავ აქვს ასეთი განზრახვა იმ დონეზეც კი, რომ ცდილობს მიმდინარე ტრეინინგების პროცესში პროფესიულ საკითხებზე კოლეგების წრეში გამართული, მონატრებული პროფესიული დიალოგის პროცესის შეჩერებასა და ჩახშობას), რადგან ჩვენ ერთად ვართ, უბრალოდ ჩვენს გვერდით არსებულ ზოგიერთ პიროვნებას , ინერციით, სხვანაირად ესმის, (უფრო სწორად, არ უნდა) მართალი პოზიციის წარმოჩენა და ეს მაშინ, როცა ფაქტები და მტკიცებულებები, კარგი და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები პირდაპირ ზედაპირზე დევს.

მადლობელი ვიქნები თუ ბაფის მენეჯმენტი დამიდასტურებს ამ გზავნილის მიღებას.

მერწმუნეთ, ზემოაღნიშნული აქტივობის შესაძლო მოკლე დროში და ეფექტურად განხორციელება შექმნის მყარ საფუძველს კრებაზე წევრების მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებისათვის. რაც შეეხება მთელს ამ პროცესში ქვეყნის ფლაგმანის ავტორიტეტის, აგრეთვე ბაფ-ის, როგორც ინსტიტუტის, განვითარების შემდგომი ზრდის შესაძლებლობებს,ამაზე დამატებით მოგახსენებთ.

გმადლობთ თქვენი დროისათვის.

გისურვებთ წარმატებებს!
პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,
მურად ნარსია
ეკონომიკის დოქტორი | პროფესორი | სერტიფიცირებული აუდიტორი |
ტელ: 599-94-03-33